№ 173

შაბათი, 14 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 173

შაბათი, 14 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ტფილისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მომავალს 1899—1900 სამოსწავლო წელს განმეორებითი ეგზამენები და დამატებითი ეგზამენები დანიშნულია 17 და 18 **აგვისტოსათვის, ხოლო იმათი გამოცდა, ვინც სასწავლებელში აპიროებს შესვლას, მოხდება 19, 20 და 21 აგვისტოს.** (5—6.—4)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ **გომარეთის** დაცლილია სკოლის მასწავლებლის ადგილი და მაწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს აქვს ჯამაგირად 360 მან., ბინა და შეშა მზა-მზარეული ექნება. (5—უ.—4)

ქ ა ლ ე ბ ი ს

**პროგიმნაზია**

ელენე ბახტაძისა

**დ. ხონში**

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე წელს გახსნილ პირველ პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 28 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოიგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფა, სური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მან. წელიწადში. (5—123—5)

## ქ. ქუთაისში

(პუშკინის ქუჩაზე, ჭყონიას სახლში) პირველ სექტემბრიდგან დაარსდება **ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი**

პროგიმნაზიის კურსით. მდგომარე წელს გაიხსნება ორი მოსამზადებელი განყოფილება და პირველი პროგიმნაზიული კლასი. გადასახადი თითო მოსწავლეზე წელიწადში ორმოცი მანეთია.

საჭირო ცნობების მისაღებად მსურველთ უნდა მიჰმართონ ლიდია გრიგოლის ასულს ანჯაფარიძეს ან მარიამ იოსების ასულს ყაუხჩიშვილს. (5—6.—5)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ჟ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ).

## ახალი ამბავი

*** საქართველოს ეგზარხოსი, მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ფლაბიანე დღეს, 14 აგვისტოს, ჩამოვა ტფილისში მარტყოფის მონასტრიდგან და დღესვე გარდაიხდის ღამისთევის ლოცვას სიონის ტაძარში.

*** ტფილისის ვიცე-გუბერნატორმა კ. კ. სტეფანოვიჩმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავის მოადგილეს, შემატყობინეთ, რა ზომები მიიღო ქალაქის გამგეობამ ქართველიშვილის სახლთან მყოფ წყლის მილის ხელმეორედ დაზიანების თავიდგან ასაშორებლადაო.

*** საგუბერნიო გამგეობის ინჟინერმა ვასილიევმა და მე-X ნაწილის ბოქაულმა ამ დღეებში დაათვალიერეს „ნაძალადევის" სახალხო თეატრი და აღმოაჩინეს შენობაში ზოგიერთი ნაკლი ტეხნიკურის მხრით, რომლის მოსპობის შემდეგ თეატრში შესაძლებელი იქმნება წარმოდგენების გამართვა.

*** 11 აგვისტოს პოდპრაპორშჩიკობა ებოძათ იმ იუნკერთ, რომელთაც წელს დაამთავრეს ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი,—სულ 117 კაცს.

*** ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, მიეცით მუქთი სამგზავრო ბილეთები გორის მაზრის პოლიციის მოხელეთ იმ პირობით, რომ მათ უფლება ჰქონდეთ იმგზავრონ, რომელ მატარებლითაც მოისურვებენ, ხუთის „ყაზახით" ანუ პოლიციის დარაჯითაო.

*** პეტრე პავლეს ეკკლესიის სამრევლო სამზრუნველოსთან (ავლაბარში) არსებული წერა-კითხვის სკოლა, როგორც ისმის, გადაკეთებულ იქმნება ერთ-კლასიან სამრევლო სასწავლებლად.

*** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ გაადიდონ მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ საფერშლო სკოლის შტატი.

*** როგორც აგრონომ როტინოვის მოხსენებიდგანა სჩანს, რომელიც მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულმა გაგზავნა აღმოსავლეთ კავკასიის დასათვალიერებლად სამეურნეო მხრით, წელს ამ მხარეში,—სახელდობრ, განჯისა, ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში მეტად უხეირო მოსავალი ყოფილა.

*** ამას წინად ტფილისის სათავად-აზნ. საადგ.-მამ. ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა გაჰგზავნა გორის მაზრის სეტყვისაგნ დაზარალებულ ადგილებში ორი თვისი წევრი გ. დ. ჟურული და პ. ი. ყიფიანი. ამათის ანგარიშიდგან სჩანს, რომ საშინელ სეტყვას გასულ ივნისის 4-ს აუოხრებია გორის მაზრაში 20 სოფელი, რომელშიაც სცხოვრობს 5,000 სული გლეხი. დაზარალებული მცხოვრებნი შეიძლება განაწილებულ იქმნან სამ რიგად. პირველ რიგს ეკუთვნიან იმ სოფლების გლეხები, რომელთათვისაც სეტყვას ყველაფერი გაუნადგურებია და რომლებშიაც გლეხი ერთ მარცვალსაც ველარ დაიბრუნებს. ასეთი სოფლებია: ოქონა, კნოლევი, ბრეძა, ავლევი, წეროვნისი, სხლითი და მეღრისი. მეორე ჯგუფს შეადგენენ იმ სოფლების გლეხები, რომლებშიაც დაუზარალებელი გადარჩენია სეტყვას ცოტაოდენი ყანები. ეს სოფლებია: აბისი, აბანო, საცეხური, ჩორჩონა, მურქნის წყარო და პატარაფლავი. დასასრულ, მესამე რიგს ეკუთვნიან იმ სოფლების გლეხები, რომლებშიაც სეტყვას უფრო ბევრი ყანები გადარჩენია, ასე რომ გლეხებს შეუძლიანთ სათესლეს დაბრუნების იმედი მაინც იქონიონ. ასეთი სოფელი სულ სამია: ფცა, თამარაშენი და ბერძენაული. სეტყვის შემდეგ ხსენებულ სოფლებში დამდგარა ძლიერი და ხანგრძლივი გვალვა. ამის გამო

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

კიდევ დრეიფუსის შესახებ.—პარიჟის 1900 წლის მსოფლიო გამოფენა.—დანია.—წარმატება დანიის მეურნეობისა და მრეწველობა-ვაჭრობისა.—მუშათა ორგანიზაცია.—სამრეწველო ბრძოლა დანიაში.

დრეიფუსი, დრეიფუსი და დრეიფუსი! ისე გაზეთს არ აიღებთ ხელში, რომ დრეიფუსის ამბავი არ წაიკითხოთ, ისე ლაპარაკს არ შეესწრებით, რომ დრეიფუსის შესახებ არაფერი გაიგონოთ. სწორედ დაუსრულებელ საქმედ გადაიქცა დრეიფუსის საქმე! არც ერთის საქმის, არც ერთის საგნის და არც ერთის შესანიშნავის კაცის შესახებ არ დაწერილა და არა თქმულა იმდენი, რაც დრეიფუსსა და იმის საქმის შესახებ დაიწერა და ითქვა ამ ოთხის წლის განმავლობაში.

ეს კიდევ არაფერი: დრეიფუსის მეოხებით რამდენიმე კაცი ჭკუიდგან შესცდა, რამდენმამე თავი მოიკლა; დუელი ხომ უთვალავი იყო. იმის წყალობით ბევრმა, დღემდის უცნობმა კაცმა, სახელი გაითქვა და დიდება მოიხვეჭა, ბევრმა კიდევ სამუდამოდ დაჰკარგა უკვე მოპოვებული სახელი და დიდება. დრეიფუსის გამო მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ სადღაც ოკეანეში არის მივარდნილი, სრულიად გამოუსადეგარი და გამოუყენებელი „ეშმაკის კუნძული". დასასრულ, დრეიფუსისავე წყალობით, დღეს მთელის განათლებულის ქვეყნის ყურადღება და გულის-ყური რენნისაკენ არის მიქცეული, ამ აგრეთვე მივარდნილ, მოყრუებულ და აქამდის სრულიად უცნობ ქალაქისაკენ. პარიჟი, ეს არამც თუ საფრანგეთის, არამედ მთელის ქვეყნის დედა-ქალაქი, ლამის არის გახუნდეს რენნის წინაშე. მთავარი ძარღვი საფრანგეთისა ამ ჟამად რენნში სცემს. აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ამ პატარა ქალაქში. სახლის, სასტუმროს და რესტორანის პატრონები დრეიფუსის სახელსა და გაჩენის დღეს ლოცულობენ თურმე, რომ იმის წყალობით უთვალავი მუშტარი გამოუჩნდათ. რენნის მუდამ მიყრუებულ და მიჩუმებულ ქუჩებში დღეს სიცოცხლე სდუღს და გადმოდის.

კორესპონდენტებს ხომ ნუღარ იტყვით! კორესპონდენტები დედამიწის ყოველის კუთხიდგან არიან რენნში. ამ ჟამად 400 გაზეთზედ მეტსა ჰყავს იქ გაგზავნილი კორესპონდენტი. ზოგიერთმა ამერიკულმა, ფრანგულმა და ინგლისურმა გაზეთმა ოთხი, ხუთი და ექვსი კაცი გაგზავნა. გაზ. „Figaro"-ს, მაგალითად, ხუთი კაცი ჰყავს: მთავარი რედაქტორი გაზეთისა—როდე, გრიპპონი—დეპეშების გადასაცემად, კორნელი—იმის ასაწერად, რაც სასამართლოში მოხდება, შენშოლი—იმისა, რაც ქალაქსა და ქუჩებში მოხდება და ამათ გარდა ნიჭიერი მხატვარი ერმან პოლი-საქმის განხილვის დროს სხვა-და-სხვა სურათების გადასაღებად. ქალთა გაზეთს „Fronde"-ს სამი კაცი ჰყავს გაგზავნილი: რედაქტორი და გამომცემელი ქ-ნი დიურანი, ქ-ნი შრამონტიე და სევერინი. „Petite Republique"-მ, სტენოგრაფისა და ორის სხვა კაცის გარდა ისეთი ნიჭიერი ორატორი და მწერალი გაგზავნა, როგორიც ჟორესია. „Temps"-ს ექვსი კაცი ჰყავს, „Siécle"-ს ოთხი და სხვა. ასევე მოიქცნენ ინგლისური, ამერიკული, გერმანული და სხვა ქვეყნის გაზეთები. ერთმა ნემეცურმა გაზეთმა ნიჭიერი ჟურნალისტი მარქს ნორდაუ გაგზავნა.

სწორედ წარმოუდგენელია ის ხარჯი, რასაც ზოგიერთი გაზეთი ეწევა დრეიფუსის საქმის გამო. საქმის გარჩევის პირველ დღეს „Times"-ს კორესპონდენტმა დეპეშა გაუგზავნა, რომელიც 10,000 სიტყვისაგან შესდგებოდა, „Figaro"-ს—16,000 სიტყვისაგან. ერთის ჩრდილო-ამერიკის გაზეთის კორესპონდენტის დეპეშა 1000 სიტყვისაგან შესდგებოდა; თითო სიტყვის გაგზავნაკი სამი ფრანკი ღირს. ასე რომ მარტო ამ ერთის დეპეშის მიღება გაზეთს სულ მცირე 1000 მანეთი მაინც დაუჯდა.

გაზეთები ათას გვარ საშუალებას ხმარობენ, რომ რენნის ყოველივე ამბავი რაც შეიძლება მალე გააგებინონ საზოგადოებას. სასამართლოს პირველი კრება რენში დილის 10¼ საათზედ დასრულდა, ¾ საათის შემდეგ, ესე იგი 11 საათზედ, პარიჟში (მხედველობაში იქონიეთ, პარიჟში და არა რენშივე) უკვე იყიდებოდა ეს გაზეთი, სადაც ამ კრების დაწვრილებით ანგარიში იყო დაბეჭდილი.

* * *

ასე ძლიერ გაიტაცა ყველანი დრეიფუსმა და იმისმა საქმემ. დრეიფუსის წყალობით პარიჟის მსოფლიო გამოფენის შესახებაც-კი, იმ გამოფენისა, რომელიც ერთის წლის შემდეგ უნდა გაიმართოს, ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის. გაზეთები სულ ველარ იცლიან ამ გამოფენისათვის და მთელ თავიანთ ფურცლებს ხსენებულ საქმეს ანდომებენ. თუ არ დრეიფუსი, დღეს მხოლოდ ამ მსოფლიო გამოფენის შესახებ იქმნებოდა ლაპარაკი. ეხლა-კი ათასში ერთხელ ზოგიერთი გაზეთი თუ მოიტანს თითო-ოროლა ამბავს გამოფენისას.

ამისდა მიუხედავად, ამ მცირე ცნობების წყალობითაც შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ შესანიშნავი, საყურადღებო და ღირს-სანახავი იქმნება მომავალი გამოფენა. ჯერ ეხლავე მნახველს აკვირვებს და იმისს თვალს იტაცებს თურმე ამ გამოფენისათვის უკვე აგებული უზარმაზარი სასახლეები და უთვალავი სხვა შენობანი. გამოფენა გამართული იქნება ოთხ დიდ მოედანზედ: ელისეის მინდვრებსა, ინვალიდთა მოედანსა, მარსოვის მინდორსა და ტროკადეროს მოედანზედ. მდინარე სენის მიერ გამოფენა, როგორც თვით პარიჟი, ორ დიდ ნაწილად იქმნება გაყოფილი: მარცხენა ნაპირზედ მოათავსებენ ყველა იმას, რაც მეცნიერებას, მრეწველობას, ვაჭრობას და შრომას შეეხება, ხოლო მარჯვენა მხარეს—ყოველგვარ გასართობებს და, საზოგადოდ, სანახავებს.

სხვათა შორის მარჯვენა ნაპირზედ აგებული იქმნება ოცი თეატრი, სადაც ათას გვარი წარმოდგენა გაიმართება. განსაკუთრებით მნახველის ყურადღებას ერთი უზარ-მაზარი თეატრი მიიქცევს, რომელშიაც ფეერი-

მე-2 რიგის სოფლებს ის მცირე მოსავალიც მოსპობიათ, რომელიც სეტყვას გადარჩენია. ამ ნაირად, 20 სოფელში მხოლოდ სამ სოფელს-ღა შეუძლიან დაიბრუნოს სათესლე... ვისაც-კი შესძლებია გლეხთაგანს, სხვა სოფელში გარდაუსახლებია თვისი ოჯახი და თითონ-კი ადგილზედ დარჩენილა მხოლოდ იმისათვის, რომ საქონელი გაჰყიდოს და შემდეგ გაიქცეს სადმე სამუშაოს საძებრად. ზარალი თურმე 200 ათას მანეთს უდრის დაახლოვებით. (ახ. მიმ.“)

⁂ 15 აგვისტოდგან ტფილისის გუბერნიაში მაზრის უფროსთა თავმჯდომარეობით დაიწყება იმ კომისიების მოქმედება, რომელთაც საგნად აქვს: 1) ახლად აგებულ საქარხნო და სავაჭრო-სამრეწველო შენობათა დაფასება მათზედ 2%-ის საერო ხარჯის დასადებად; 2) იმ უკვე ხარჯდადებულ შენობათა ხელმეორედ დაფასება, რომელთა გარდასახადის შემცირების შესახებ უკვე წარდგენილია ანუ წარდგენილ იქმნება განცხადება და 3) იმ განცხადებათა საბუთიანობის გამოძიება, რომლებითაც ხარჯის გამცემნი თხოულობენ 2%-ის ხარჯისაგან სრულიად განთავისუფლებას.

⁂ რადგან ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა 1-ლ დეკემბრამდე წარუდგინეთ ხოლმე საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოსაო, ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა: შეუდგეს დაუყოვნებლივ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

⁂ ქალაქის გამგეობის განკარგულებით, 16 აგვისტოსათვის დანიშნულია იმ კომისიის სხდომა, რომელსაც მინდობილი აქვს საშუალო აქციზის გაწერა მედუქნეებზედ.

⁂ იმ სარედაქციო კომისიაში, რომელიც უმაღლესად დაარსებულ იქმნა სამოქალაქო კანონ-დებულების პროექტის შესადგენად, ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, სასურველია თუ არა მომავლისათვისაც ძალაში დარჩეს კანონთა კრებულის ის მუხლი, რომელშიაც ნათქვამია, რომ კავკასიის მკვიდრ მცხოვრებთ ნება აქვთ დაქორწილდნენ, თუ სასიძო 15 წლისა, ხოლო სარძლო 13 წლისა გამხდარაო. რადგან ამ საქმის ჯეროვანად გარდაწყვეტა იმ ცნობების შემწეობით შეიძლება, რომლებიც ადგილობრივის სამღვდელოებისა და საგუბერნიო სამკურნალო დაწესებულებათაგან უნდა იქმნას მოთხოვნილი იმის შესახებ, იწვევს თუ არა ასეთი ქორწინება ცუდ შედეგს ცხოვრებაში, ამის გამო ხსენებულ კომისიის თავმჯდომარეს უთხოვნია კავკასიის მთავარ-მართებლისათვის მოგვაწოდეთ ასეთი ცნობებიო, ხოლო მთავარ-მართებელს-კი წინადადება მიუცია ამიერ-კავკასიის გუბერნატორთათვის, გამომიგზავნეთ ასეთი ცნობები ამ მოკლე ხანშიო.

⁂ თელავიდგან „ტფ. ფ.“-ს ატყობინებენ, რომ იქ ღვინის მოსავალს საშუალოზედ მეტს მოელიან. სიმინდსაც უვარგნია, რის გამო იაფად თურმე ფასობს. ადგილობრივ მკვიდრთა შორის წელს ძალიან ყოფილა გავრცელებული სხვა-და სხვა გვარი ავადმყოფობა, განსაკუთრებით — ციება და ინფლუენცა. ამ ბოლო დროს კი ქალაქსა და მის ახლო-მახლო სოფლებში გაჩენილა აქა-იქ სახადი, რომელიც, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, ადვილად თურმე გარდაიქცევა მოარულად.

⁂ ოზურგეთიდგან „ახ. მიმ.“-ს ატყობინებენ, რომ ამ ქალაქში ვაჟთა პროგიმნაზიის დაარსების საქმე, რომელიც ოზურგეთის ქალაქის მოურავმა აღძრა, ამ მოკლე ხანში უმაღლესს მთავრობას გარდაეცემა პეტერბურგში განსახილველად.

⁂ სიღნაღი. 12 აგვისტოს სოფ. მაჩხაანში, ტფილისის გუბერნატორის თანამდ. აღმასრ. პოლკოვნიკის ი. ნ. სვეჩინისა, საგუბერნიო მკურნალის ტ. ს. ქიქოძისა, ადგილობრივ მოხელეთა, სამღვდელოებისა და დიდძალის ხალხის თანადასწრებით, დიდის ამბით აკურთხეს პირველი კერძო სასოფლო-სამკურნალო საავადმყოფო. გუბერნატორის თანამდ. აღმასრულებელმა დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარსთქვა, რომელშიაც თვისი სიხარული გამოსთქვა და დიდი მადლობა განუცხადა ყველა იმათ, რომელნიც ამ საქმეს დაეხმარნენ.

⁂ დ. სურამი. 9 მარიამობისთვეს სცენის მოყვარეთ წარმოდგენა გამართეს აქ, რომლის მთელი წმინდა შემოსავალი დაუთმეს აქაურ უფასო წიგნთ საცავს. დადგეს კომ. „ადვოკატი მელაძე“, თარგმანი ი. მაჩაბლისა; რუსულად-კომ. „სცენები პეტერბურგში“. ამ წარმოდგენის გამართვა ითავა ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ მიქაბერიძემ და ისე კარგად დააბოლოვა საქმე, რომ აქაურმა საზოგადოებამ მადლობა გარდაუხადა. სულ შემოვიდა 224 მან. 20 კაპ.; აქედგან დაიხარჯა 75 მ. 62 კ. და დარჩა წმიდა შემოსავალი 149 მ. 28 კაპ.

⁂ გორის მაზრის აზნაურმა იოსებ ფურცელაძემ განუცხადა პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულს, რომ 11 აგვისტოს, ნაშუადღევის $4^1/_1$ საათზედ, ალექსანდრე ფარცხალაძეს სამკერვალოში, მოსტოვოის ქუჩაზედ, მარტიროზოვის სახლში, ახალუხსა ვყიდულობდი და ამ დროს ჯიბიდგან ქისა ამომაცალეს, რომელშიაც 26 მან. 15 კაპ. იყოო. ამის მომქმედნი უნდა იყვნენ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი გლეხნი ბესარიონ შენგელია, ერმილე ლეჟავა და აზნაურნი პლატონ ბაქრაძე და დავით სანადირაძე, რომელნიც ახალუხს მიზომავდნენ ტანზედ და რომელთ გარდა სხვა არავინ ყოფილაო. გამოძიება ექვმიტანილებითურთ ადგილობრივს გამომძიებელს გარდაეცა.

## დაცლილი ასპარეზი.

ვიცი, ეს სათაური ბევრს, თბილ ადგილის მოტრფიალეს, მოჰგვრის პირში ნერწყვს და ხარბ გულს დაცლილ ადგილის შესაძენათ აუძგერებს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ასპარეზი, რომელზედაც მე სიტყვის ჩამოგდებას ვფიქრობ, ისეთი ადგილი არ არის, რომ ყველა ჯურის კაცს გაუღოს თვისი კარები; ის მომზადებულს, სპეციალურის ცოდნით აღჭურვილს ადამიანს თხოულობს და მერე კიდევ დაცლილი სულ არ არის. მაშ რისთვის უწოდე დაცლილი? ან რომელია ის კაცებით სავსე, მაგრამ მაინც უკაცო ასპარეზი ჩვენშიო? — იკითხავს გაოცებული მკითხველი. ეს გახლავთ საექიმო ასპარეზი. მერე რისთვის უნდა ჩაითვალოს ის დაცლილად? ნუ თუ სპეციალურად მომზადებული მოსაქმენი ცოტა ჰყავს? არა. სპეციალისტებით ღარიბი არ არის ეს ასპარეზი: ერთი, მაგალითად, თვალს აქიმობს, მეორე ყურს, მესამე კბილებს, მეოთხე ნერვებს, მეხუთე და მეექვსე შინაგან სნეულობას, მეშვიდე დოსტაქარია და სხვ. დიახ, ექიმები ბევრია, მაგრამ უექიმოდ მკვდარი კიდევ უფრო მეტი. რადა? იმიტომ რომ ექიმებს ყველას ქალაქში მოუყრია თავი და სოფელს ჰირივით გაურბიან. იქ, სოფელში, ავადმყოფი უექიმოდ ჰლევს სულს და ქალაქში კი ზოგიერთი ექიმები, რომელთაც ჯერ კიდევ კარგად არ იცნობენ, უპაციენტობით ღაბავენ პირს.

სოფელი რომ უექიმობით გაჭირვებულია, ეს ყველამ იცის. ავიღოთ თუნდ გურია. აქ ექიმები საქართველოს სხვა რომელიმე მივარდნილ კუთხეზე მეტი თუ არ არის, ნაკლები მაინც არ იქნება, მაგრამ აქაც-კი თუ ექიმის ხილვა გსურს, ოზურგეთში უნდა იდგე, ან ჩოხატაურში. დანარჩენ სოფლებს ექიმი გამომძიებელთან ერთად მხოლოდ მაშინ ეწვევა, თუ ვისმეს სული გაანთხევინეს ან სასიკვდილოდ დასჭრეს, ან კიდევ რომელიმე მოარულმა სენმა ნახევარი სოფელი მაინც გამოასალმა წუთი სოფელს. დანარჩენ შემთხვევაში იოლად მივდივართ. გახდება ვინმე ავად თუ არა რომელიმე გამოურკვეველი სენით, შინ გამოჩეკილი „დოხტურებიც“ იქვე მეზობლად არიან; გააციებს ვისმეს და გაუწვება მზეს, არაკუნებს კბილებს და იობის მოთმინებით ელის ციების ჟინის მოკვლას, ან პარაქსიზმის დროს გადაეშვება რომელსამე ნოყოში, რომელიც ხალხს სამკურნალო წყლად დაუსახავს. ამგვარი სამკურნალო ნოყოები ბევრია გურიაში. ერთი მათგანი, სახელდობრ „ბახვის აბანო,“ მეც დავათვალიერე ამ დღეებში. თუ რას წარმოადგენს ის, ამის აწერა მეტად მიმაჩნია. საკმაოა მხოლოდ ვსთქვათ, რომ, როგორც პატრონმა მიამბო, ხშირად თურმე დღეში ორი სამი მანეთი შემოდის ქირა. თუ იქონიებთ მხედველობაში, რომ თითო კაცს ბანაობაში ქირას მხოლოდ ორ კაპეიკს ართმევენ, ხოლო აქ ბანაობის სეზონი იწყება მაისში და თავდება ენკენისთვის გასულს, ადვილი წარმოსადგენია — მთელი ზაფხულის განმავლობაში რამდენი სული ამოიგანგლება ჯერ ბახვის და მერე სხვა ამგვარს „აბანოებში“. ხოლო მარგებელია ეს აბანოები თუ არა, რა თვისების არის, რა-გვარ სნეულებას უხდება, — ყველა ამის შესახებ ჩვენმა ხალხმა ისე არა იცის რა, როგორც ჩვენმა მაზრის ექიმებმა. მერე ვისი საქმეა ყველა ამის გამორკვევა? ვინ უნდა გააფრთხილოს ხალხი, თუ რომელი აბანო რომელი სენის მავნებელია, და რომლისთვის მარგებელი; ვინ უნდა დაავალოს პატრონს აბანოს ხეირიანად მოწყობა, ვინ უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ რომელმამე ბეჩავმა განკურნების ნაცვლად აბანოდგან უკურნებელი სენი არ ამოიტანოს? რა თქმა უნდა, ექიმები. მაგრამ ორი-სამი ექიმი სად გასწვდება მთელ მაზრას, რომელშიაც 70,000 მცხოვრებზე მეტი ითვლება. სხვა ექიმები ხომ სოფელს არ ეკარებიან და იმათ ეძნელებათ სოფელში ცხოვრება და ქალაქებს ეტანებიან. როგორ მოღვაწეობენ ქალაქებში ექიმები?

---

ები და ბალეტები უნდა წარმოადგინონ. დასდგამენ, სხვათა შორის, ორ პიესას: „L'orient“-სა და „Constantinople á Paris“-ს. თითო პიესაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სულ ცოტა 1,500 არტისტმა-ქალმა და კაცმა და ამათ გარდა მრავალმა ცხენმა, სპილომ და აქლემმა. მარტო ამ თეატრს 600 ბალერინა ეყოლება. ხორო და ორკესტრი ორას-ორასი კაცისა და ქალისაგან იქმნება შემდგარი.

ამავე ნაპირზედ მნახველის თვალ-წინ გადაიშლება მთელი სოფლები ველურ ხალხებისა, მთასა, ბარსა, ცხელსა და ცივს ქვეყნებში მცხოვრებლებისა, აგრეთვე უთვალავის თევზებით სავსე ტბები და მდინარეები, ტყეები, ათასგვარი შადრევნები, წყაროები, წყალვარდნილები და მრავალი სხვა.

არა ნაკლებ, თუ გაცილებით არ უფრო მეტად, საყურადღებო იქმნება მარცხენა ნაპირი. როგორცა ვთქვით, ეს ნაპირი მეცნიერებას, მრეწველობას და ვაჭრობას დაეთმობა. აქ კაცი ნახავს ყველა იმას, რაც-კი დღემდის მეცნიერების სხვა და სხვა დარგს შეუქმნია; აქვე გაიგებს მრეწველობისა და ვაჭრობის წარმატებას.

გამოფენას საკუთარი ჟურნალ-გაზეთებიც ექმნება. ათზედ მეტი საგამოფენო ნახატებიანი ჟურნალი და გაზეთი გამოვა, რომლებშიაც დაწვრილებით აწერილი იქმნება თვითეული ნაწილი გამოფენისა.

პარიჟის სხვა და სხვა ნაწილიდგან გამოფენაზედ მისასვლელად მრავალი რკინის გზა იქმნება გაყვანილი. მათ შორის ექვს რკინის გზას მიწის ქვეშ გაიყვანენ და რამდენსამესაც სახლების თავზედ. თვით გამოფენაზედ შესვლა მხოლოდ ერთის ალაყაფის კარებიდგან შეიძლება. ეს კარები იმდენად უზარმაზარი იქმნება, რომ საათში 60,000 კაცს თავისუფლად შეეძლება გავლა. ამ ალაყაფის კარებიდგან გამოფენის დასათვალიერებლად ორი გზა იქმნება გაყვანილი: ერთი ელექტრონის რკინის გზა და მეორეც — მოძრავი ქუჩა, ე. ი. თვით ქუჩა ივლის წინ და უკან.

პარიჟის მსოფლიო გამოფენა კიდევ იმით არის საყურადღებო, რომ იმის დროს გაიმართება მრავალი საერთაშორისო კონგრესი. ჯერ-ჯერობით განზრახულია 105 კონგრესი.

პარიჟში უკვე დაარსდა სხვა და სხვა საზოგადოება, სააგენტო, ამხანაგობა, რომელთაც აზრად ექმნებათ მგზავრების მიყვანა გამოფენაზედ, მათის ბარგის გადაზიდვ-გადმოზიდვა, სასტუმროების, რესტორანების გამართვა მგზავრთათვის და სხვა. ერთის სიტყვით, ამ მცირე ფელეტონში მარტო ჩამოთვლაც კი არ შეიძლება ყველა იმისა, რაც-კი ამ გამოფენისათვის მზადდება და კეთდება.

* * *

ეჭვი არ არის, ბევრი მოისურვებს გამოფენაზედ წასვლას და ბევრი ეხლავე შეუდგება იქ წასვლისთვის თადარიგს და მზადებას. მაგრამ რადგანაც მთელი წელიწადი გვიდევს წინ, ამიტომ უმჯობესი იქმნება ჯერ-ჯერობით ამ გამოფენას თავი გავანებოთ და აწინდელ საყურადღებო ამბებს დაუბრუნდეთ. საყურადღებო-კი ბევრი რამ ხდება არა მარტო დიდს სახელმწიფოებში, არამედ ისეთ მცირე ქვეყნებშიაც-კი, როგორიც არიან, მაგალითად, ბელგია, ჰოლანდია, დანია, შვეცია-ნორვეგია შვეიცარია და სხვანი. ხოლო თუ ამათ შესახებ იმდენი არ ისმის და იმდენს არა სწერენ, რამდენსაც, მაგალითად, საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის შესახებ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხსენებული სახელმწიფონი მცირენი არიან და იმათ პოლიტიკურს ცხოვრებას მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზედ ისეთი გავლენა არა აქვს, როგორიც დიდს სახელმწიფოებს. ამას გარდა გაზეთებს და სხვა და სხვა დეპეშათა სააგენტოებს თავიანთი კორესპოდენტები უმთავრესად ამ დიდს სახელმწიფოების ქალაქებში ჰყავთ და მცირე სახელმწიფოებს უყურადღებოდ სტოვებენ. საზღვარგარედ წამსვლელნიც უმეტესს ნაწილად ამ სახელმწიფოებს ეტანებიან და ზურგს უქცევენ მცირეებს, თუმცა კი ცხოვრება აქ არა ნაკლებ სდუღს და გადმოდის და ცხოვრების მოვლენათა შესწავლა თითქმის აქ უფრო ადვილია, ვიდრე დიდს სახელმწიფოებსა და მსოფლიო ქალაქებში.

ეკონომიურ ნიადაგზედ აღმოცენებული ბრძოლა, მაგალითად, ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის დიდს სახელმწიფოებში თითქმის ისე არც-კია გამწვავებული, როგორც ამ მცირე სახელმწიფოებში. ამის მიზეზი, თუ გნებავთ, თვით სიდიდსიპატარავეც არის. მაშინ, როდესაც დიდს სახელმწიფოში უმთავრეს ყურადღებას დიპლომატიურ ბრძოლას, ჯარს, ფლოტს აქცევენ, პატარა სახელმწიფოების მცხოვრებთა და მთავრობის გულის-ყურს სოციალური მოვლენანი იპყრობენ. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთი სოციალური რეფორმა ამ მცირე სახელმწიფოში უფრო ადრე ეღირსება ხოლმე განხორციელებას, ვიდრე საფრანგეთსა, გერმანიასა და ინგლისში.

ავიღოთ თუნდა დანია. რამდენს საყურადღებოს და საგულისხმოს რასმეს წარმოადგენს იმის ცხოვრება ყველასათვის და განსაკუთრებით-კი ისეთ ჩამორჩენილ ხალხისთვის, როგორიც ჩვენა ვართ.

დანიაში ჰავა მეტად სუსხიანია და ნიადაგი მეტად მწირი, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მცხოვრებთა მხნეობამ და მეცადინეობამ ბევრი რამ გააკეთა: მეურნეობა საუკეთესოდ არის იქ მოწყობილი, ვაჭრობა-მრეწველობა ხომ საოცრად განვითარდა. ამ განვითარებას ყველაზედ ნათლად მუშათა ორგანიზაცია და მოწყობილება გვიმტკიცებს. დანიაში არც ერთი მუშა არ არის, რომელიც რომელსამე მუშათა სინდიკატის წევრად არ ითვლებოდეს. ხოლო ამ სინდიკატებს ერთმანეთშორის მტკიცე კავშირი აქვთ, და ყველანი ერთ ფედერაციას შეადგენენ. ფედერაციას თავისი საკუთარი გაზეთი აქვს, რომელსაც ამ მცირე ქვეყანაში, 40,000 ხელის-მომწერი ჰყავს. მუშათა სინდიკატებს დანიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, აგერ ერთს მათგანს შეუგნია ქრისტეს მოძღვრება და საავადმყოფო გაუმართავს. მერე? მერე და სულ კლასებათ დაუყვია თავისი საავადმყოფო: პირველ კლასში წოლა დღე და ღამეში 8 მან. ღირს, მეორეში—ხუთი მანეთი, მესამეში—სამი მანეთი და მეოთხეში 1 მან. 50 კ., მეტი განსხვავება არ არის? როგორ არა. პირველში რვა ჯერ გაჭმევენ დღეში და სადილად რვა ხელი საჭმელი მოგივა; მეორეში ხუთი, მესამეში სამი და მეოთხეში ერთი; სხვა? პირველი კლასის ავადმყოფს ექიმი მუდამ თავს დასტრიალებს, მეორეში დღეში რამდენჯერმე ინახულებს, მესამეში ერთხელ და მეოთხეში მხოლოდ მაშინ მოგაკითხავს, როცა მღვდელია საჭირო. დიახ, სიცოცხლის უფლება მარტო მდიდარს აქვს; შუათანა შეძლებისას შეუძლიან მორჩეს, თუმცა იმის სიკვდილიც დიდად არავის გააკვირვებს, ხოლო ღარიბი და ბოგანო უეჭველად უნდა მოკვდეს. კარგი ანგარიშია: მერე რა შედეგი მოჰყვება ამ მოღვაწეობას? ავადმყოფებისათვის ხომ ნახეთ რა ხეირიც არის, ხოლო თითონ ექიმისათვის ძლიერ კარგი შედეგი მოსდევს. წინეთ საავადმყოფო ნაქირავებ სახლში იყო და ეხლა საკუთარი უზარმაზარი ხუთ-სართულიანი შენობა წამოჭიმულა მომხიბლავის კარ-მიდამოთი. ამას გარდა ბანკში ფული, ჯიბეში ფული და სხ. ეს არის მოღვაწეობა? განა ექიმმა მარტო მაშინ უნდა მოგაკითხოს, როცა ლოგინად ჩავარდები (მაშინ თუ მოგაკითხავდეს, არც იმას დაიწუნებ!)? ვინ უნდა მართავდეს ლექციებს, ვინ უნდა ესაუბრებოდეს ხალხს ჯანმრთელობის შესახებ? ვინ უნდა ავრცელებდეს ხალხში გასაგების ენით დაწერილს წიგნაკებს ჰაერისა, წყლისა, საჭმელ-სასმელისა; ტანთ-საცმელისა, ბინისა და სხვათა შესახებ? გვაქვს თუ არა სამკურნალო მწერლობა? თუ არა გვაქვს, ვისი საქმეა ამ გვარი მწერლობის შექმნა? თუ ორიგინალების დაწერა მოუხერხებელია, მეცნიერების ამ დარგიდგან სასარგებლო წიგნების თარგმნა ხომ მოსახერხებელია? ყველა ამ კითხვების საპასუხოთ უნებლიედ ჟღერს ჩემ ყურებთან ექიმების მომჯადოვებელი სიტყვები: „ფული! ფული! ფული!“ ღმერთს მართალი უყვარს: ყური მომიკრავს ხალხში, რომ ჩვენშიაც არიან გაჭირვებულთა გულშემატკივარი ექიმებიო, მაგრამ ესენი ისე მცირე რიცხვს შეადგენენ, რომ ზღვაში წვეთად ჩაითვლებიან.

შუბნელი

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გენერალმა მერსიემ დრეიფუსის დანაშაულობის დასამტკიცებლად ახალი საბუთი წარუდგინა რენის სამხედრო სასამართლოს. ასეთს საბუთს წარმოადგენს პარიჟში ავსტრო-უნგრეთის სამხედრო აგენტად ნამყოფის პოლკოვნიკ შნეიდერის წერილი, 1897 წლის 30 ნოემბერს დაწერილი. ამ წერილში შნეიდერის სახელით ნათქვამია, რომ თუმცა გერმანიისა და იტალიის აგენტები უარს-ჰყოფენ ამას, მაგრამ მე ვიცი, რომ დრეიფუსს კავშირი ჰქონდა გერმანიის საიდუმლო ბიუროებთან ბრიუსელსა და სტრასბურგშიო. გენერალმა როჟემ თავისს ჩვენებაში გაიმეორა მერსიეს მიერ მოყვანილი საბუთი. პოლკოვნიკმა შნეიდერმა ემსიდგან დეპეშა გამოუგზავნა გაზეთ „ფიგარო“-ს, რომელშიაც აცხადებს, რომ სასამართლოს წინაშე მერსიეს მიერ წარდგენილი წერილი მე სრულიად არ მეკუთვნის, გამოგონილი არისო. შნეიდერის გამოაშკარავებულმა ამბავმა ძლიერ აღელვა საფრანგეთის საზოგადოება. მართალია, ზოგიერთები აცხადებენ, რომ შნეიდერი ტყუილად ჰყოფს უარს, 1897 წლის 30 ნოემბრის თარიღით წერილი ნამდვილად მას ეკუთვნისო, მაგრამ ეს ბევრს არა სჯერა და ფიქრობენ, რომ სიყალბისათვის გენერლები მერსიე და როჟე პასუხის გებაში მიეცემიანო.

— მწერალი ზურდონი, რომელმაც გენერალ მერსიეს დაუძახა „კაცის მკვლელო“, როცა უკანასკნელი სასამართლოდგან გარედ გადიოდა, ნაფიც მსაჯულების წინაშე უნდა წამდგარიყო პასუხის საგებლად. მაგრამ, როდესაც ბრალმდებელმა ქაღალდი გაუგზავნა მერსიეს ხელ მოსაწერად, რითაც შეურაცხყოფილმა თავისი თანხმობა უნდა განაცხადოს დამნაშავის პასუხის გებაში მიცემის შესახებ, იმან უარი სთქვა ხელის მოწერაზედ. მერსიემ იმით დაასაბუთა ასეთი თავისი საქციელი, რომ საზოგადოება აღელვებულია ლაბორის წინააღმდეგ შეთქმულობით და ზურდონი რომ პასუხის გებაში იქმნას მიცემული, იქნებ კიდევ უფრო აშფოთდეს საზოგადოებაო. გენერალს ის აზრი წარმოუთქვამს, რომ ზურდონის მიუცემლობა სამართალში დიდად შეუწყობს ხელს რენის მცხოვრებთა დამშვიდებასო.

— დერულედს ულაპარაკნია ერთს კორესპონდენტთან, რომ ჩემი დატუსაღებით სრულებით არ შეჩერდება ის მოძრაობა, რომელმაც მთელი საფრანგეთი მოიცვაო. ჩემი დაჭერა სრულებით არაფერს მოასწავებსო,—უთქვამს პატრიოტს,—და თავისს უღონობას ძლიერ კარგად გრძნობს მთავრობაო. ჩემთვის სრულებით საჭირო არ არის განთავისუფლება, საჭიროა მხოლოდ მე ცოცხალი ვიყოო. დერულედის სიტყვით, თითოეული ღონისძიება, მთავრობის მიერ ნახმარი, უფრო მოაახლოებს იმას, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს და სიმართლეს უფრო ჩქარა გამოააშკარავებს. დერულედს აზრად ჰქონია, როგორც თითონ ამბობს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს და ყველაფერი (?) გამოარკვიოს. საპყრობილეში დერულედს ყოველ მხრიდგან მრავალი დეპეშები და წერილები მისდის თურმე. სხვათა შორის, მას მისვლია საფრანგეთის ქალებისაგან ყვავილებით ლენტი, რომელზედაც ეწერა: „საფრანგეთის ქალებისაგან, რომელთაც თავიანთი მამული უყვართო“.

**გერმანია და საფრანგეთი.** გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობა სულით და გულით მოწადინებულია, რომ ძველი მტრობა ერთმანეთისა დაივიწყონ და ეს ორი სახელმწიფო ერთი მეორეს დაუახლოვდეს. ამ დღეებში სენ-პრივაში (გერმანიაშია) ძეგლი უნდა დაედგათ პირველ გვარდიის კორპუსის მეომართათვის, რომელთაც სული დალიეს 1870 წლის ომში. იმპერატორი ვილჰელმი თითონ დაესწრო ძეგლის კურთხევას და სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ერთნაირის თანაგრძნობით და პატივისცემით მოიხსენია როგორც გერმანიის მეომარნი, ისე საფრანგეთისა, რომელთაც სამშობლოს სამსახურს თავი შესწირეს. „ჩვენო,—ბრძანა თავისს სიტყვაში იმპერატორმა ფრანგების შესახებ,—მწუხარებით და პატივისცემით ვიხსენიებთ განსვენებულ მამაც მეომართო“. ეს სიტყვები იმპერატორისა, ისეთ დღესასწაულზედ წარმოთქმული, რასა თქმა უნდა, ღირსეულად იქმნება დაფასებული საფრანგეთში. იმპერატორს მარტო გერმანიის მეომრებზედ შეეძლო ელაპარაკნა, მაგრამ ჩვეულებრივი პოლიტიკური მაღალ-გონიერება გამოიჩინა, ერთს სიტყვაში ქებით მოიხსენიებინა ორივე ქვეყნის მხედრობა, და ამით ერთი ნაბიჯი კიდევ წინ გადადგა საფრანგეთთან დასაახლოვებლად.

საფრანგეთის მთავრობა უკან არ ჩამორჩა ამ შემთხვევაში გერმანიას. სამხედრო მინისტრმა გენერალმა გალიფემ 4 აგვისტოს ბრძანება გაუგზავნა გერმანიის საზღვრების მახლობლად დაბანაკებულ საფრანგეთის ჯარების კორპუსთა უფროსებს, რომ სენ-პრივაში დღესასწაულობის დროს, 1870 წლის შემთხვევის მოსაგონებლად, ისეთი არა ჩაიდინოს რა ვინმემ ჯარში, რაიცა ცოტათი მაინც არის საწყენად დაურჩებათ გერმანიაშიო. გალიფემ მხოლოდ ნება დართო კორპუსის უფროსებს დაბალი ხარისხის ჯარის კაცთ ნება მიეცითო ერთის დღით სამსახურიდგან წასვლისა, მაგრამ იმ პირობით, რომ მეორე დღეს უთუოდ დაბრუნდნენ ყაზარმებშიო.

# დამაკვირდი

ყოველი მსგავსი ერთნაირი ფასისა არ არის: ორპირი კაცი საგმობია, ორპირი სოფელი (ე. ი. ორპირად გაშენებული) შვენიერია და ორპირი მახვილი საკვეხური.

ლასურიძე

* * *

მამანი ჩუენნი დაშურეს: სთესეს, მოიმკეს და შეკრიბეს თჳსთა საუნჯეთა, და ჩვენცა მათ მივბაძოთ და, რაოდენცა ძალგვიძს, ვიღუაწოთ.

გიორგი მთაწმინდელი

* * *

რაჟამს ეტრფიალოს ვინმე დედაკაცსა, ყოვლითურთ მისცემს თავსა თჳსსა ტრფიალსა მას, და მისა მიმართ იღონოს, მას ჰხედავს და იგი ელცების, დაღაცა თუ მზეგ ვინ უჩვენოს, არა უნებენ მიხედვად მისა, არამედ ტრფიალი იგი ჰსწადინ.

თეოდორე სტუდიელი

## ჟურნალ-გაზეთებიდან
(ამოკრებილი ამბები)

მას შემდეგ, რაც მარკონიმ უმავთულო ტელეგრაფი გამოიგონა, ბევრი უმავთულოსავე ტელეფონის გამოგონებასაც შეუდგა. განსაკუთრებით ამ საქმეს გულ-მოდგინედ ამერიკაში მოჰკიდეს ხელი. როგორც ამბობენ, ვინმე ხეისს უკვე გაუმართავს ისეთი მანქანა, რომლის შემწეობითაც უმავთულოდ შეიძლება ლაპარაკი. ამ შემთხვევაში ხმა გადააქვს რაღაც ჯერეთ გამოუკვლეველ სხივებს. ბევრს ის იმედიც-კი აქვს, რომ შემდეგ ამ სხივების შემწეობით მარსის და იუპიტერის მცხოვრებლებთან დალაპარაკებაც-კი შეიძლებაო. რამდენად გამართლდება ეს წინასწარმეტყველება, ეგ მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის. ეს-კია, რომ ყოველ დღე ახალსა და ახალს რასმეს იგონებენ. ამავე უხილავ სხივების შემწეობით ერთს შვეციელს მეცნიერს აქსელ ორლინგს გამოუგონია ისეთი ასაფეთქებელი მანქანა, რომლითაც შესაძლებელია თურმე ნაპირიდგან ააფეთქოთ ზღვაში რამდენისამე ვერსის მანძილზედ მყოფი გემი. ეს ამბავი თუ მართალი გამოდგა, ამიერიდგან სამხედრო გემს არამც თუ ნაპირზედ მისვლა და ჯარის გადასხმა აღარ შეეძლება, ნაპირთან მიახლოვებასაც-კი ვეღარ გაჰბედავს.

* * *

---

მარტო ის არა აქვს აზრად, რომ წევრებს გაჭირვების დროს დახმარება გაუწიოს: უმეტეს ყურადღებას ისინი მუშათა შორის სწავლა-განათლების გავრცელებას აქცევენ. ამ აზრით კოპენგაგენში არსებობს რამდენიმე კლუბი, წიგნთ-საცავი, სამკითხველო, იმართება ლექციები, კითხვები, კურსები და სხვა.

ამას გარდა სინდიკატები აარსებენ მრავალ კოოპერაციულ დაწესებულებას. თვით ფედერაციის მთავარმა გამგეობამ ამ რამდენისამე ხნის წინად გამართა კოპენგაგენში სამაგალითო პურის საცხობი, რომელიც წელიწადში 650,000 ფრანკის პურსა ჰყიდის. ამ პურის საცხობის წყალობით კოპენგაგენის სხვა პურის-მცხობელთ ხელ-ფეხი შეეკრათ, ისე ვეღარ ატრიალებენ მაზანდას და ისე ვეღარ უმატებენ ფასს პურს, როგორც წინად. იმავე ფედერაციამ ამ ცოტა ხანში გამართა ხორცის სავაჭრო დუქანი და ისე სამაგალიდოდვე მოაწყო, როგორც პურის საცხობი.

მტკიცე ორგანიზაციის წყალობით მუშები მუდამ კრიჭაში უდგანან კაპიტალის, თანხის პატრონებს, არ ეჩაგვრინებიან და იმათ თვითნებობას და თავ-გასულობას ყოველთვის დროზედ ჰლაგმავენ. რასაკვირველია, არც ეს უკანასკნელნი არიან ხელ-დაკრეფილნი ისინიც სცდილობენ დაარღვიონ მუშათა კავშირები, ძირს დასცენ მუშათა ერთობა, რომ, განცალკევებულნი და ურთიერთ დაშორებულნი, უფრო ადვილად დაიმორჩილონ და დაიმონავონ. საუკეთესო მაგალითს ამისას წარმოგვიდგენს მუშათა და მწარმოებელთა უკანასკნელი ბრძოლა. მთელი დანიის ყურადღება ამ ჟამად ამ ბრძოლისაკენ არის მიქცეული. ყველა, წოდებისა და ხარისხის განურჩევლად, გაფაციცებით ადევნებს ლვალ-ყურს ამ ბრძოლას და მოუთმენლად მოელის იმის გაგებას, ვინ გაიმარჯვებს,—ფულის თუ შრომის პატრონი.

საქმე აი როგორ მოხდა. იუტლანდიის რამდენისამე სოფლის დურგლებმა, რიცხვით 300 კაცმა, მუშაობა აღკვეთეს და სადურგლო სახელოსნოების პატრონებს მოსთხოვეს სამუშაო ფასის მომატება. იმ სახელოსნოების პატრონთ, სადაც ეს 300 კაცი მუშაობდა, არამც თუ ფასი არ მოუმატეს, მუშების ერთხელვე შესაშინებლად, ყველა სხვა სადურგლო სახელოსნოების პატრონებთან პირობა შეჰკრეს, სახელოსნოები სრულიად დაკეტეს და მუშები, რიცხვით 3,500 კაცი, დაითხოვეს. ამ რიგად უადგილოდ, 300 კაცის წყალობით, 3,500 კაცი დარჩა. პირველ ხანს მუშები მართლაც შეშინდნენ და შეთქმულმა სამასმა კაცმა, რომელთაც არა ჰსურდათ იმათის წყალობით სხვა მუშები ულუკმა-პუროდ დარჩენილიყვნენ, მორჩილება განაცხადეს; მაგრამ სახელოსნოების პატრონებმა, იგდეს რა ხელთ მარჯვე შემთხვევა, მუშების სრულიად დამორჩილება მოიწადინეს და ამ აზრით თვით სინდიკატთა საერთო ფედერაციას გამოემკლავნენ.

სახელოსნოების პატრონთა საერთო კავშირმა ფედერაციას ულტიმატუმი გაუგზავნა. ულტიმატუმში ნათქვამი იყო, რომ მუშაობას მხოლოდ მაშინ განვაახლებთ და დათხოვნილ მუშებს მაშინ მივიღებთ, როდესაც მუშები ამ ულტიმატუმში ჩამოთვლილ პირობებს შეასრულებენო. ეს პირობები კი შემდეგი იყო: არც ერთი სამუდამო მუშა არ ყოფილიყო წევრად რომელისამე მუშათა სინდიკატისა, კავშირისა, ფედერაციისა; მუშებს არასოდეს არ მოეთხოვათ ფასის მომატება დასამუშაო დროსდაკლება; ასეთი საქმეების გადაწყვეტა ყოველთვის სახელოსნოების პატრონებზედ ყოფილიყო დამოკიდებული, და მრავალი სხვა ასეთი პირობა. ერთის სიტყვით, ფულის პატრონები თხოულობდნენ მუშების ყოველსავე ორგანიზაციის, ერთობის და კავშირის მოსპობას.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ფედერაციამ ცივი უარი შეუთვალა. ამ უარმა სახელოსნოების პატრონთა კავშირი უფრო გააბრაზა. კავშირმა სამეტალურგო, სამექანიკო და სხვა ქარხნების პატრონებიც მიიბირა და იმათაც დაათხოვნინა მუშები. ამ რიგად უადგილოდ დარჩენილ მუშათა რიცხვმა 5000 კაცამდე მიაღწია. არასოდეს დანიაში, ამ მცირე ქვეყანაში, სამრეწველო ბრძოლას ამ ზომამდე არ მიუღწევია და არასოდეს უადგილოდ ამდენი მუშა არ დარჩენილა. დანიელ მუშათა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მუშაობის აღკვეთის შემდეგ ცხრა კვირა გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მათ მცირე რამ უწესოება, ურიგობა და არეულობაც-კი არ მოუხდენიათ.

პირველსავე დღიდგან თავიანთის თავ-დაჭერილობით და რიგიანის ყოფაქცევით მათ მთელის დანიის მცხოვრებთა გული მოიგეს. ჟურნალ-გაზეთებმა და საზოგადოებამ იმ თავითვე მუშების მხარი დაიჭირა და აუარებელი ფული მოკრიფა იმათდა შესაწევად. მუშების მეთაურებმა საოცარი უნარი და მოხერხებულება გამოიჩინეს: ეს დრო ტყუილად არ დაკარგეს და მუშების გონების გამდიდრებას მოანდომებს. სინდიკატები მეორე დღესვე შეუდგნენ უადგილოდ დარჩენილ მუშათათვის წარმოდგენების, საღამოების გამართვასა, ლექციების კითხვას, სხვა და-სხვა გამოფენების და მუზეუმების დათვალიერებას. სინდიკატებს დიდი დახმარება გაუწიეს დანიის საუკეთესო საზოგადო მოღვაწეებმა, სკოლის მასწავლებლებმა, უნივერსიტეტის პროფესორებმა. კოპენგაგენის უნივერსიტეტის თითქმის ყველა პროფესორი შეუდგა ლექციების კითხვას ამ უადგილოდ დარჩენილ მუშათათვის. იმ გაზეთების კორესპოდენტები, რომელნიც ლექციებს დასწრებიან, იუწყებიან, რომ ასეთი წესი და რიგი, როგორც ამ ლექციებზედ ჰსუფევს, არც ერთს სასწავლებელში, არც ერთს საზოგადოებაში არ გვინახავსო. თვით პროფესორებს უთქვამთ, რომ ჩვენს აუდიტორიებში ამგვარს სიმპატიურს და გულ-მოდგინე მოსწავლეებს პირველადა ვხედავთო.

ი. ა—ძე

ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ უკვე დაამტკიცა პროექტი ახალის რკინის გზისა. ამ რკინის გზამ უნდა შეაერთოს ჩრდილოეთ და სამხრეთი ამერიკა. იგი ყველა რკინის გზაზედ უმჯობესი იქმნება, იმ გზაზედაც-კი, რომელიც აზრადა აქვთ ამერიკაში გაიყვანონ—ჩრდილოეთ ამერიკიდგან სამხრეთამდე. ამერიკის რკინის გზას სიგრძე 17 ათასი ვერსი ექმნება, აფრიკისას 12 ათასი, ხოლო ციმბირისას—10 ათასი. ამერიკის რკინის გზა დაიწყობა ქალაქ ნიუ-იორკიდგან, გაივლის შეერთებულ შტატებს, შემდეგ მექსიკას, გვატემალას, რესპუბლიკას სალვადორსა და გონდურას, მერე შემდეგ სახელმწიფოებს: ნიკარაგუას, კოსტა-რიკას, კოლუმბიას, ეკუადორს, პერუს, ბოლივიას და არგენტინის რესპუბლიკას. უკანასკნელი სადგური ქალაქ მუენოს-ჰაეროსში იქმნება. ამ გზის გაყვანა დაჯდება 700 მილიონი მანეთი.

* * *

ამა წლის 21 ივლისს ქალაქმა ვიურცბურგმა მეტად უცნაური იუბილეი გარდაიხადა. ამ დღეს სწორედ 150 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ვიურცბურგში უკანასკნელი „კუდიანი“ დედაკაცი დასწვეს. ეს დედაკაცი იყო მოლოზანი მარიამ რენატა, ერობაში ბარონესსა ზინგერ ფონ-მოსსაუ. ფონ-მოსსაუ ავსტრიელი იყო. ახალგაზრდა, ლამაზი ქალი 19 წლისა იყო, როდესაც მონასტერში მისცეს, სადაც მან მონაზონად მთელი 50 წელიწადი დაჰყო. 1749 წელს ბერები, ჩვეულებისამებრ, ძირს გვირაბში ჩასულან აღდგომის მისაგებებლად. ამ დროს მარია რენატს თავისს მოძღვრისათვის წითელი კვერცხი მიუცია და აღდგომის დღესასწაული მიულოცნია. მოძღვარს გამოურთმევია თუ არა კვერცხი, უგრძვნია, რომ იმისს „ხელს კანკალი“ დაუწყვია და ამ კანკალს მხოლოდ მაშინ გაუნებებია თავი, როდესაც ხელი წმიდა წყალში ჩაუდვია. ამის გამო ბერებს ეჭვი შეჰპარვიათ—მონაზონი კუდიანია და ეშმაკებთან აქვს კავშირიო, და გამოკითხვას შესდგომიან. ბევრი მეცადინეობის შემდეგ მოლოზანისათვის უთქმევინებიათ, რომ „ეშმაკები დადიან ჩემთან და მელაპარაკებიანო“. მაშინვე ვიურცბურგის ეპისკოპოსს კარლ ფილიპპ ფონ-გრეიფენკლაუს ამ საქმის გამოსაძიებლად განსაკუთრებული კომისია დაუნიშნავს. კომისიას ერთხმად მოლოზანი „კუდიანად“ უცვნია და დაუდგენია, რომ უნდა დაიწვასო. ეს გადაწყვეტილება 1749 წელს, 21 ივლისს მოუყვანიათ სისრულეში. ქალისთვის ჯერ თავი მოუჭრიათ, შემდეგ იმისი სხეული ცეცხლზედ დაუწვავთ.

* * *

ფილადელფიაში შემოუღიათ ახალი საფოსტო ყუთები, რომელნიც იმით არიან კარგი, რომ ღამე ანათებს და კაცს ბნელაშიაც შეუძლიან დაინახოს. ამ ყუთებს ერთგვარი წამალი აქვს წასმული და სინათლეს ეს წამალი აჩენს თურმე. აზრადა აქვთ ასეთი ყუთები მთელს ამერიკაში შემოიღონ.

* * *

როგორც ვუწყით, ამერიკაში დიდი გასავალი აქვს ეგრედ წოდებულ „ლინჩის კანონს“. მთავრობამ ვერაფრით ვერ აღმოფხვრა ეს მავნე ჩვეულება ხალხისა. ამ კანონს უფრო ხშირად სამხრეთ შტატებში მიჰმართავენ ხოლმე. თითქმის ყოველთვის ბრბო ამ „ლინჩის კანონს“ მაშინ მიჰმართავს ხოლმე, როდესაც ზანგების დასჯა ჰსურს, მაგრამ ათასში ერთხელ თეთრებიც ხდებიან ამ კანონის მსხვერპლად. ასეთი შემთხვევა ამას წინად მოხდა ლუიზიანის შტატის პატარა ქალაქ ტალლუსში: ბრბომ, რომელიც ასის კაცისაგან შესდგებოდა, აწვალა და შემდეგ მოჰკლა ხუთი იტალიელი. ამ იტალიელთ ჰბრალდებოდათ ერთის ადგილობრივის ექიმის მოკვლა; ხსენებულ ექიმს იტალიელის თხა მოუკლავს რევოლვერით და ექიმის მკვლელობა, როგორც ამბობენ, ამ მცირე მიზეზს გამოუწვევია. ბრალდებულნი საპყრობილეში იყვნენ დაპატიმრებულნი. ბრბომ გამოამტვრია საპყრობილეს კარები, გამოიყვანა გარედ ბრალდებულნი და იქ უწყალოდ მოჰკლა. ამ ამბის გამო იტალიის და ამერიკის მთავრობებს შორის დიდი მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება გაიმართა. ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულობაში ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები ვალდებულია დაიცვას სიცოცხლე და ქონება იტალიის იმ ქვეშევრდომებისა, რომელნიც ამერიკაში სცხოვრობენო. ამის გამო იტალიის ელჩმა დაკმაყოფილება მოსთხოვა ამერიკის მთავრობას. გარეშე საქმეთა მინისტრმა ელჩს დიდი მწუხარება გამოუცხადა მკვლელობის გამო და დაჰპირდა დამნაშავეებს დავსჯითო. მაგრამ საქმე ის არის, რომ თუ თვით ლუიზიანის შტატის მთავრობამ არ მოიწადინა დამნაშავეების დასჯა, მინისტრებს და საზოგადო საკავშირო საბჭოს არაფერი შეუძლიან გააწყოს. როგორც ვუწყით, ჩრდილო ამერიკის ყველა შტატს საკუთარი თვით-მმართველობა აქვს მინიჭებული და იმის შინაურს საქმეებში თვით პრეზიდენტსაც არ შეუძლიან ჩაერიოს.

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „მელის წიგნი ანუ იგავ-არაკების კრებული ვარდანისა“, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. წიგნში 158 იგავ-არაკია მოთავსებული, სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 150 გვერდს და ღირს ორი აბაზი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აგვისტო.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“. ღამე გავრცელებულ ხმას, ვითომ რამბულიეში ლუბე მოეკლათ, მთავრობა ოფიციალურად უარსა ჰყოფს.

**ოპორტო.** „ჰავასის სააგენტო“. შავი ჭირი ქალაქში თანდათან ვრცელდება, მაგრამ ძლიერ-კი არა. გუშინწინ ორი გახდა ავად, ერთი გარდაიცვალა. სავაჭრო ასოციაციამ სთხოვა პროფესორს კოხს მივიდეს იქ ავადმყოფობის შესასწავლად.

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო“. კრება დაიწყო 6 საათსა და 40 წუთზედ. მდივანმა წაიკითხა ჩვენება მოწმის პენოსი, რომლის სიტყვითაც სანდგერმა სთქვა, რომ დრეიფუსის ძმებმა 150,000 ფრანკი მაძლიეს საქმის ჩასაფუჩეჩებლადაო. დემანჟმა წაიკითხა ბარათი, რომელშიაც სანდგერი ამბობს, დრეიფუსის ძმებმა მთხოვეს, მზადა ვართ მთელი ჩვენი ქონება დავხარჯოთ ჭეშმარიტების გამოსარკვევადაო.

მიახლოედ ნამყოფმა ლინოლლმა, რომელიც დრეიფუსთან ერთად სადილად იყო ბოდსონთან, სთქვა, ვერ მომიგონია, მაშინ უცხო-ქვეყნელი დიპლომატი იყო თუ არა იქაო.

1894 წლის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე მორელი თავისს ჩვენებაში ამტკიცებდა, რომ დრეიფუსის საქმის განხილვის დროს, სასამართლოს წევრებისათვის არც სიტყვიერად და არც წერილობით არავის არაფერი უცნობებიაო. საქმე მათ საბუთების ქაღალდებით და მოწმეთა ჩვენებით გაიცნეს. თავისს ჩვენებაში,—სთქვა მორელმა,—დიუ-პატი-დე-კლამმა მხოლოდ მოხსენების შინაარსი გადმოგვცაო. ერთად ერთი წერილი, რომელიც პროცესის დროს მე გადმომცეს, იყო ის, რომელიც კლამმა მოიტანა, იმავე საღამოთი ეს წერილი უკანვე დაუბრუნეს. (ხანგრძლივი მოძრაობაა). მორელმა სთქვა, ვნახე მხოლოდ ერთი საბუთის ქაღალდი საიდუმლო dossier-ისა, მაგრამ ეს საბუთიც საკმაო იყო ჩემთვის, რათა დრეიფუსის დამნაშავეობაში დავრწმუნებულიყავიო. როდესაც ამ ჩვენების გამო მერსიესა ჰკითხეს, ა უკანასკნელმა სთქვა, ფორმალურად არ მიბრძანებია მორელისათვის შეეტყობინებინა სამხედრო სასამართლოსათვის საიდუმლო dossier-ი, მხოლოდ სიტყვიერად საკმაო ბრძანება გადავეციო. დაუმატა, რომ დრეიფუსის დაპატიმრების დროს ერთად ერთი იმის წინააღმდეგ საბუთად ბორდერო იყო; ეჭვი-კი გვქონდაო. ლაბორის კითხვებზედ მერსიემ განაცხადა, არ მიბრძანებია ლებრენ-რენოსთვის მოხსენებაში შეეტანა დრეიფუსის გამოტეხის ამბავი, რადგანაც საყურადღებოდ არ მიმაჩნდაო. შემდეგ მერსიემ სთქვა, არ ვიცოდი არაფერი არც ესტერგაზისა და არც 1898 წ. პროცესის შესახებაო. ლაბორიმ ასეთის პასუხის გამო გაკვირვება განაცხადა. მერსიემ მიუგო: „მე მგონია, უფლება არა გაქვთ გამომკითხოთ ჩემის აზრების შესახებ: მე ბრალდებული არა ვარო“ (მოძრაობაა). ლაბორიმ ჰკითხა მერსიეს იმ 35 მილიონის შესახებ, რომელიც, იმის სიტყვით, დახარჯეს დრეიფუსის დამცველთ. რაზედ გამოიყენეს ეს ფულიო? მერსიემ მიუგო: „მე შემეძლო ამის შესახებ თქვენ შეგკითხებოდითო“. ლაბორიმ მოსთხოვა განმარტება 1894 წლის სიყალბის შესახებ. მერსიე, გონზი, როჟე, ლოტი და გრიბლენი დიცხანს თათბირობდნენ საიდუმლო dossier-ის იმ საბუთის ქაღალდის შესახებ, რომელიც ლურჯი კარანდაშით არის დაწერილი. მერსიემა სთქვა, არაფერი ვიცოდი ამ საბუთის ქაღალდის შესახებაო. გონზმა სთქვა, რომ ქაღალდი სანდგერის ხელში იყო; იმან ჩაურთო იგი dossier-შიო. მერსიემ სთქვა, პანიცარდის დეპეშა არ მოხსენდა 1899 წლის სასამართლოსაო. ლაბორიმ ილაპარაკა 2 ნოემბრის დეპეშის გამო შენიშვნის შესახებ. შუმანმა (?) განმარტა, რომ საბუთის ქაღალდი მერსიემ გადმომცა და იმასვე გარდავეციო. მერსიე დაემოწმა და დაუმატა, რომ თვით მე ეს საბუთის ქაღალდი დიუ-პატისაგან მივიღეო.

რისბურგმა, რომელიც 1894 წელს რესპუბლიკანურ გვარდიას უფროსობდა, სთქვა, რომ ლებრენ-რენომ გადმომცა დრეიფუსის გამოტეხის ამბავიო. დრეიფუსმა წინააღმდეგობა განაცხადა და სთქვა, როდესაც საპატიმროში დავბრუნდი, ლებრენ-რენომ ხელი ჩამომართვა, რაიცა იმის ჩვენებას ეწინააღმდეგებაო. „თუმცა-კი,—დაუმატა დრეიფუსმა,—როდესაც ასეთ ბრალდებას სდებენ იმ კაცს, რომელმაც ხუთის წლის სასჯელი გამოიარა, საჭირო არ არის ისეთ ბრალდებაზედ ლაპარაკი, რომელიც უბრალო შთაბეჭდილებაზეა დამყარებული. ნამდვილი საბუთები უნდა მოიყვანონ“ (აღელვებაა). დრეიფუსი დაუბრუნდა იმას, რომ დიუპატის ვარწმუნებდი, დამნაშავე არა ვარ მეთქი; მერსიემ არ მოისურვა იმ გამოძიების განგრძობა, რომელიც დიუ-პატიმ დაიწყოო. ჩვენება ჩამოართვეს ჟაულ როშს. მე ვცდილობდი,—სთქვა მოწმემ,—ესტერგაზი სამინისტროში მიეღოთ, მაგრამ ამ ცდას ბილიოს რჩევით თავი გავანებეო.

დევერენმა, სპეციალურმა კომისარმა, რომელსაც პიკარმა მიანდო თვალყური დაეჭირა ესტერგაზზედ, სთქვა, ვნახე ესტერგაზი, რომ დაურიდებლად რამდენჯერმე გერმანიის საელჩოში შევიდაო. ლაბორი უნდა შეჰკითხებოდა როჟეს ესტერგაზის შესახებ, მაგრამ მან მიუგო, ვალდებული არა ვარ ჩემი აზრები გამოგიცხადოთო (სიცილი).

პოლკოვნიკმა ფლერმა ილაპარაკა, რომ საიდუმლო ბიუროს უფროსის თანაშემწემ 1894 წელში, პოლკოვნიკმა კორდიემ, მითხრა, რომ ეჭვი მაქვს დრეიფუსის დანაშაულობაშიო და სანდგერისა და ჩემი სამსახურიდგან გადადგომა ებრაელების რევანშის დასაწყისი იყოვო. მოწმემ მოიყვანა კიდევ სხვა-და-სხვა ხმები, რომლებიც დრეიფუსს ამტყუნებს. დრეიფუსმა მოითხოვა პოლკოვნიკ ფლერის ცრუ მოწმობის შესახებ გამოძიება.

გამოუძახეს პოლკოვნიკ კორდიეს; იმან სთქვა, რომ ვერას გაჩვენებთ, რადგან პროფესიონალურ საიდუმლოებისაგან განთავისუფლებული არა ვარო.

მერსან-დე-მიულერმა ილაპარაკა, რომ პოტსდამის სასახლეში ვიყავიო და იმპერატორის ოთახში ვნახე „Libre Parole“, რომელზედაც ცისფერი ყარანდაშით ნემეცურად ეწერა: „დრეიფუსი დაპატიმრებულიაო“. მოწმემ განაცხადა, რომ ვერ დავიჟინებო, კარგად წავიკითხე ანუ გავიგე ნემეცური სიტყვა, რომელიც ნიშნავს „დატუსაღებულიაო“.

13 აგვისტო.

**რამბულიე.** ლუბემ, მიიღო რა სათემო საბჭოს წევრები, სთქვა, სიმწუხარით უყურებ იმას, რომ ქუჩებში არეულობა ხდებაო. მაგრამ ეს საქმე არც უნდა გაზვიადოთ. დარწმუნებული ვარ, რომ სრული მშვიდობიანობა მალე დამყარდება. ის ზომები, რომელიც მთავრობამ მიიღო, მოწმობენ, რომ მან მტკიცედ გარდასწყვიტა დაიცვას რესპუბლიკა. მთელი საფრანგეთი უნდა დაემორჩილოს რენნის სასამართლოს გარდაწყვეტილებას. ხალხის წარმომადგენელნი ხელს შეუწყობენ მშვიდობიანობის დამყარების საქმესაო.

**პარიჟი.** შაბროლის ქუჩაზე ცვლილება არ მომხდარა. გერენი სახლის თავიდგან ფოტოგრაფიულ სურათებს იღებს. ყველა საგენერალო საბჭოებმა, კანნისა, ანჟერისა და რენნის გარდა, უარი განაცხადეს პარლამენტის მოწვევაზედ: პარლამენტის ერთმა ჯგუფმა 60 დეპუტატს მოაწერინა ხელი იმ თხოვნაზედ, რომ პალატა მოწვეულ იქმნას. პარიჟში მშვიდობიანობაა.

### წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმ პირთ, რომლებმაც შემწეობა აღმოუჩინეს ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს შენობის ასაგებად. სია შემომწირველთა:

თ. ვ. გურიელმა, ას. კვიტაიშვილმა, კ. წილოსანმა, ნ. მხეიძემ, ივ. ებრალიძემ, ზ. ფირცხალაიშვილმა შემოსწირეს ხუთ-ხუთი მანეთი; ივ. ლაზარიძემ 15 მ., ნ. იუროპულომ 10 მ., სამ. ბარამიძემ, ზ. ღლონტმა, მ. გვარჯალაძემ, იაგ. გვარჯალაძემ, ტრ. მათითაიშვილმა, ზ. ღლონტმა,—სამ-სამი მანეთი; ო. წილოსანმა, თ. ებრალიძემ, კ. მგელაძემ, ატ. წილოსანმა, ს. ჩხაიძემ, ყ. კუკულაძემ, გ. ხუნდაძემ, მ. სიხარულიძემ, მ. იმნაიშვილმა, ქ. ორაგველიძემ, ერ. სვანიშვილმა—ორ-ორი მანეთი; ერ. გოგიჩაიშვილმა, კ. ხავთასმა, კ. ბაღდავაძემ, ბ. ხუხუნაიშვილმა, ს. დარჩიამ, ლ. ხელაძემ, ვ. კალანდაძემ, ივ. ურუშაძემ, გ. კალანდაძემ, ფ. ორაგველიძემ, ივ. კვიტაშვილმა, კ. კუკულაძემ, ე. გოგვაძემ, კ. ჯორბენაძემ, ფ. ალექსეევმა, ი. ჩხაიძემ, ბ. წულაძემ, დ. ებრალიძემ, ნ. ებრალიძემ,—თითო მანეთი. ლ. კილაძემ, პ. ფირცხალაიშვილმა, ბ. ორაგველიძემ, კ. კუკულაძემ ათ-ათი შაური, ფ. შაქარიშვილმა 40 კაპ. სულ 116 მან. და 40 კაპ.

ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს მმართველი ნ. ჩხეიძე.


# განცხადებანი



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—16)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; ყვირილაში—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; ბათუმში—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); სამტრედიაში—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. კუხში—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—5.—16) ნ. წერეთელი


Дозволено цензурою, Тифлисъ 13 го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.